

შპს „ტესტ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა
2022 წლის 31 დეკემბერს

თბილისი
2023

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	6

სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	7
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი.....	8
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	8
4. ძირითადი საშუალებები.....	13
5. არამატერიალური აქტივები.....	15
6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.....	16
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	16
8. ფულადი სახსრები და ექვივალენტები.....	16
9. საწესდებო კაპიტალი.....	17
10. მესაკუთრეებისგან ნასესხები თანხები.....	17
11. ბანკებისგან ნასესხები თანხები.....	17
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	18
13. ამონაგები.....	18
14. სხვა შემოსავალი.....	18
15. სხვა ხარჯები.....	19
16. ფინანსური რისკების მართვა.....	19
17. კაპიტალის მართვა.....	21
18. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება.....	22
19. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის	22
20. წინა პერიოდის კორექტირებები.....	23
21. განუსაზღვრელი ვალდებულებები.....	23
22. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები.....	24

(ლარი)	შენიშვნა	31.12.2022წ.	31.12.2021წ.
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	101 337	136 079
არამატერიალური აქტივები	5	2 083	2 828
სულ გრძელვადიანი აქტივები		103 421	138 906
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	6	885 602	573 426
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	204 817	569 998
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	8	211 051	216 635
სხვა მოკლევადიანი აქტივები		78 940	125 011
სულ მიმდინარე აქტივები		1 380 410	1 485 069
სულ აქტივები:		1 483 831	1 623 976
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	9	5 000	5 000
გაუნაწილებელი მოგება/აკუმულირებული ზარალი		892 004	543 618
სულ საკუთარი კაპიტალი		897 004	548 618
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მესაკუთრეებისგან ნასესხები თანხები	10	16 382	102 259
ბანკებისგან ნასესხები თანხები	11	85 107	176 187
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		101 489	278 446
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	485 337	796 912
სხვა ვალდებულებები		-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		485 337	796 912
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1 483 831	1 623 976

დირექტორი:


ვ. ბაკურაძე

შპს „ტესტ ჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)	შენიშვნა	31.12.2022წ.	31.12.2021წ.
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	101 337	136 079
არამატერიალური აქტივები	5	2 083	2 828
სულ გრძელვადიანი აქტივები		103 421	138 906
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	6	885 602	573 426
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	204 817	569 998
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	8	211 051	216 635
სხვა მოკლევადიანი აქტივები		78 940	125 011
სულ მიმდინარე აქტივები		1 380 410	1 485 069
სულ აქტივები:		1 483 831	1 623 976
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	9	5 000	5 000
გაუნაწილებელი მოგება/აკუმულირებული ზარალი		892 004	543 618
სულ საკუთარი კაპიტალი		897 004	548 618
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მესაკუთრეებისგან ნასესხები თანხები	10	16 382	102 259
ბანკებისგან ნასესხები თანხები	11	85 107	176 187
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		101 489	278 446
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	485 337	796 912
სხვა ვალდებულებები		-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		485 337	796 912
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1 483 831	1 623 976

დირექტორი:



ვ. ბაკურაძე

(ლარი)	შენიშვნა	2022 წელი	2021 წელი
ნეტო ამონაგები			
საქონლის გაყიდვიდან	13	4 824 503	3 275 413
სხვა		-	-
გაყიდვების თვითღირებულება		(3 269 858)	(2 075 807)
საერთო მოგება		1 554 646	1 199 606
სხვა შემოსავალი	14	56 089	82 656
სარეკლამო ხარჯები		(10 814)	(46 875)
დიზაინერების მომსახურების ხარჯი		(217 074)	(241 376)
ადმინისტრაციისა და გაყიდვების ხელფასების ხარჯი		(519 926)	(425 964)
სოციალური დანარიხებები (საპენსიო)		(15 834)	(14 094)
იჯარების ხარჯები		(191 473)	(183 386)
საკონსულტაციო, საბუღალტრო, იურიდიული მომსახურების ხარჯები		(26 329)	(23 425)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		(43 481)	(43 673)
ქონების გადასახადის ხარჯი		(1 183)	(1 525)
საბანკო მომსახურების ხარჯები		(11 591)	(11 926)
სხვა ხარჯები	15	(121 742)	(95 601)
საპროცენტო ხარჯი		(20 080)	(11 570)
უარყოფითი საკურსო სხვაობა		(82 822)	(21 004)
მოგება / (ზარალი), მოგების გადასახადის ხარჯამდე		348 386	161 843
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(9 274)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / (ზარალი)		348 386	152 569
საწყისი გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი)		348 386	442 049
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-	(51 000)
გასული პერიოდის შეცდომის გასწორების გავლენა		-	-
გაუნაწილებელი მოგების საბოლოო ნაშთი		348 386	543 618

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ლარი)	შენიშვნა	2022 წელი	2021 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მყიდველისაგან მიღებული ფულადი სახსრები		5 243 394	4 183 465
გაუთვალისწინებელი შემოსავალი		3 754	5 070
ბიუჯეტიდან დაბრუნებული გადასახადები		106 576	38 830
მომსახურებაზე გადახდილი თანხის დაბრუნება		-	5 330
იჯარაზე გადახდილი თანხები		(224 982)	(199 902)
საბუღალტრო, იურიდიული და საკონსულტაციო ხარჯი		(30 000)	(26 481)
გადახდილი გადასახადები		(1 029 360)	(816 077)
ბანკის მომსახურებაზე გადახდილი თანხები		(11 591)	(11 907)
საკომუნიკაციო და კომუნალური ხარჯი		(48 034)	(27 001)
საქონლის მომწოდებელზე გადახდილი თანხები		(2 945 574)	(2 216 322)
სატრანსპორტო, სატერმინალო და საბაჟო მომსახურებაზე		(283 698)	(257 994)
დაზღვევის ხარჯი		(7 786)	(6 112)
გაუთვალისწინებელი ხარჯი		(27 145)	(13 200)
მომხმარებელზე თანხის დაბრუნება		(24 643)	(17 207)
თანამშრომელზე გაცემული ხელფასი		(401 731)	(321 927)
მომსახურებაზე გადახდილი თანხები		(232 301)	(242 567)
სხვა საექსპლუატაციო ხარჯები		(4 451,28)	(10 008)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		82 427	65 990
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირ.საშუალებების გაყიდვიდან მიღებული სარგებელი		-	-
ძირითადი საშუალებების შეძენა		(9 298)	(11 304)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(9 298)	(11 304)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
შემოსულობანი გრძელვადიანი სესხებიდან		308 691	792 497
გადახდილი დივიდენტები		-	(48 450)
გადახდილი პროცენტები		(7 027)	(10 772)
სესხის ძირის დაბრუნება		(380 378)	(661 228)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		(78 714)	72 048
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		(5 584)	126 734
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	8	216 635	89 901
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	8	211 050,69	216 635

შპს „ტესტ ჯორჯია“
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	დივიდენდის განაწილება	სულ
<u>31.12.2020 ნაშთი</u>	<u>5 000</u>	<u>493 049</u>	<u>(51 000)</u>	<u>447 049</u>
2021 წლის წმინდა მოგება	-	152 569	-	152 569
მოგების განაწილება	-	-	(51 000)	(51 000)
<u>31.12.2021 ნაშთი</u>	<u>5 000</u>	<u>645 618</u>	<u>(102 000)</u>	<u>548 618</u>
2022 წლის წმინდა მოგება	-	348 386	-	348 386
მოგების განაწილება	-	-	-	-
<u>31.12.2022 ნაშთი</u>	<u>5 000</u>	<u>994 004</u>	<u>(102 000)</u>	<u>897 004</u>

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ტესტ ჯორჯია“ წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს.

საზოგადოება დაფუძნებული იქნა საზოგადოების დამფუძნებელ-პარტნიორთა 2014 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილების საფუძველზე.

შპს „ტესტ ჯორჯია“ -ს, გადასახადების გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი 405031932, სახელმწიფო რეგისტრაცია განხორციელებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მიერ 2014 წლის 26 თებერვალს.

საზოგადოება დაფუძნებული იქნა 3 (სამი) რეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ კაპიტალში შემდეგი წილობრივი მონაწილეობით:

- ფ/პ ვახტანგ ბაკურაძე, პ/ნ 62001009977, წილი - 40%;
- ფ/პ დავითი ტაბიძე, პ/ნ 60002012447, წილი - 30%;
- ფ/პ არჩილ ბაკურაძე, პ/ნ 62001003401, წილი - 30%.

საზოგადოების საწესდებო კაპიტალი 2014 წლის 1 მარტიდან განისაზღვრა 5,000 (ხუთი ათასი) ლარით და მისი სიდიდე მეტად აღარ შეცვლილა და იგივე მოცულობით უცვლელად ფიქსირდება საანგარიშო პერიოდშიც.

2018 წლის 1 თებერვალს ცვლილებები განხორციელდა საზოგადოების პარტნიორთა შემადგენლობასა და მათ წილობრივ მონაწილეობაში და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

- ფ/პ ვახტანგ ბაკურაძე, პ/ნ 62001009977, წილი - 50%;
- ფ/პ ლაშა ტაბიძე, პ/ნ 60002012446, წილი - 50%.

ზემოაღნიშნული თარიღიდან საანგარიშო პერიოდის ბოლომდე საზოგადოების პარტნიორთა შემადგენლობასა და წილობრივ მონაწილეობაში მეტი ცვლილება აღარ განხორციელებულა.

კომპანია დაფუძნებისას დარეგისტრირდა მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ბახტრიონის ქ. №28, ბინა 89.

2018 წლის 1 თებერვალს შეიცვალა მისი იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, თუთის ქუჩა N13, ბინა NG2-03 - რომელიც უცვლელია დღემდე და, შესაბამისად, საანგარიშო პერიოდშიც.

თუმცა, საანგარიშო, ასევე საანგარიშოს წინა პერიოდშიც კომპანიის ფაქტიურ ადგილსამყოფელს წარმოადგენდა მისი მართვისა და ძირითადი საქმიანობის (მაღაზია-შოურუმი) ადგილსამყოფელი, კერძოდ, საქართველო ქალაქი თბილისი, კარტოზიას ქუჩა N10.

საზოგადოების წესდებით და ფაქტობრივად კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კერამიკული ფილებისა და ელექტრონული აპარატურის იმპორტი, რეალიზაცია, მომსახურება. ასევე, სხვა საქმიანობაც, რომელიც არ არის აკრძალული კანონმდებლობით.

საანგარიშო პერიოდში კომპანია თავის საქმიანობას ახორციელებს როგორც საქართველოს, ასევე ამერიკის შეერთებული შტატების მასშტაბით, ექსპორტის გზით.

საანგარიშო პერიოდში კომპანიას შვილობილი კომპანიები, რეგისტრირებული ფილიალები ან/და წარმომადგენლობები არ გააჩნია.

01.01.2022 წლისათვის კომპანიაში მუშაობდა 6 თანამშრომელი, ხოლო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის, 01.01.2026 წლისათვის ასევე 6 თანამშრომელი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) მიხედვით.

წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. საზოგადოება ასევე გამოიყენებს რეალური ღირებულების მიდგომასაც ისეთი აქტივებისა და ვალდებულებებისათვის, რომელთა შეფასებაც უნდა მომხდარიყო რეალური ღირებულებით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის დაშვებით, ანუ დაშვებით, რომ საზოგადოება განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საწარმოს საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკის ის არსებითი ნაწილი, რომელიც თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მიმართ.

მოქმედი და წარსადგენი ვალუტა

საზოგადოების მოქმედი/(სამუშაო) ვალუტა არის და შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად გამოყენებულია ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება საზოგადოების ხელთ არსებული ბანკნოტებისა და მონეტებისგან და ბანკებში არსებულ შეუზღუდავ ანგარიშებზე არსებული ნაშთისგან.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშებულია ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსით.

ამონაგების აღიარება

საზოგადოება ამონაგებს შეაფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება საზოგადოების მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საზოგადოების საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა. საზოგადოება ამონაგებში არ ითვალისწინებს მესამე მხარის სახელით/სასარგებლოდ მიღებულ ისეთ თანხებს, როგორიცაა, მაგალითად სახელმწიფოს სახელით ამოღებული ბრუნვის გადასახადი, საქონლისა და მომსახურების გადასახადები და დამატებითი ღირებულების გადასახადი.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

- (ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
- (ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- (გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;
- (დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და
- (ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საზოგადოებაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია რომ საზოგადოება მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალების ერთეული რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს ფასდება მისი თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების დღისათვის თანადროული გადახდისას გადასახდელი ფასის ეკვივალენტით. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პირობა სცილდება ჩვე-

უღებრივი საკრედიტო პირობების ფარგლებს, მაშინ ამ თანხასა და მთლიან გადასახდელ თანხას შორის სხვაობა აღიარებული იქნება როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის ვადის განმავლობაში, ან მოხდება მისი კაპიტალიზაცია, თუ გადავადებული გადახდა უკავშირდება განსაკუთრებულ აქტივს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საზოგადოება ყველა ძირითადი საშუალებას აღრიცხავს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ძირითადი საშუალების ყოველ ერთეულს ცვეთა ერიცხება ცალ-ცალკე. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, აქტივის ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით. აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის.

საზოგადოება ძირითადი საშუალების ყოველდღიური საექსპლუატაციო მომსახურების დანახარჯებს აღიარებს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომლის განმავლობაშიც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა გადაისინჯება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და თუ მოსალოდნელი მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისაგან, ცვლილებები აისახება როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საზოგადოებისათვის.

მიწა და შენობები განიხილება დამოუკიდებელ აქტივებად და აღირიცხება ცალ-ცალკე, ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების ერთეულის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში. როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა, შემოსულობა არ უნდა კლასიფიცირდეს როგორც ამონაგები.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე.

ჩვეულებრივი იჯარა - საზოგადოება როგორც მოიჯარე

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

იჯარის კლასიფიკაცია ხდება იჯარის დასაწყისში და არ იცვლება მისი ვადის განმავლობაში. თუ შემდეგ მოიჯარე და მეიჯარე გადაწყვეტენ საიჯარო პირობების შეცვლას (იმ შემთხვევის გარდა, როდესაც უბრალოდ იჯარა განახლდება), აუცილებელია იჯარის კლასიფიკაციის გადახედვა.

ჩვეულებრივი იჯარის დროს საზოგადოება საიჯარო გადასახდელებს ხარჯად აღიარებს (ისეთი მომსახურების დანახარჯების გარდა, როგორიცაა დაზღვევა და აქტივის მიმდინარე ტექმომსახურება) წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა და მის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შემენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის შემენის დანახარჯები მოიცავს: მისი შემენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (იმ გადასახადების გარდა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საზოგადოებას უნდა დაუბრუნონ შემდგომში), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებსა და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შემენასთან. სავაჭრო დათმობა, სხვადასხვა სახის ფასდათმობები და სხვა ანალოგიური მუხლები არ ჩაირთვება შემენის დანახარჯების გაანგარიშებაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიღება აღიარებულია შემენის თვითღირებულებით, გასვლა აღიარებულია საშუალო შეწონილი მეთოდით.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

ზოგიერთი სახის მარაგი შეიძლება მიეკუთვნოს სხვა აქტივების ანგარიშებს, მაგალითად მარაგი, რომელიც საზოგადოების მიერ გამოყენებული იყო საკუთარი წარმოების ძირითადი საშუალებების კომპონენტის სახით. სხვა აქტივზე ამგვარად მიკუთვნებული მარაგი შემდგომში აისახება წინამდებარე სააღრიცხვო პოლიტიკის იმ დებულებების მიხედვით, რომელიც ამ აქტივის ტიპის შესაფერისი იქნება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საზოგადოება საქონლისა და მომსახურების გაყიდვებს ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე, მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საზოგადოება ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხდება საექვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის.

რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები

ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული რისკების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს საზოგადოების წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მართვას, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესების, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგის გზით.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან საზოგადოების ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კაპიტალის მართვა

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და შეზღუდული არ არის შესაბამის საქმიანობის პირობებში კაპიტალის მინიმალური სიდიდის მოთხოვნები.

კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით საზოგადოების მიზანია შეინარჩუნოს და გააგრძელოს საქმიანობა შემდგომში, როგორც ფუნქციონირებდნა საწარმომ ისე, რომ შეძლოს პარტნიორებისათვის მოგების მიცემა.

დივიდენდი

საზოგადოების შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს.

გაუნაწილებელ მოგებაში დივიდენდების ასახვა ხორციელდება, მათი გამოცხადების პერიოდში.

უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარებში (საზოგადოების სამუშაო ვალუტა) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ

საანგარიშო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

ვალუტის სახეობა	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
1 აშშ დოლარი	2,7020	3,0976	3,2766
1 ევრო	2,8844	3,504	4,0233

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ექვემდებარება ურთიერთგაქვითვას, ხოლო წმინდა ოდენობა ბალანსში ასახვას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის სამართლებრივად მოქმედ უფლებას, და სახეზეა განზრახვა წარმოებულ იქნას ურთიერთგაქვითვა ნეტო-საფუძველზე ან ერთდროულად განხორციელებულ იქნას აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების შესრულება.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია ისტორიულ ღირებულებას აკუმულირებული ცვეთის თანხისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხის გამოკლებით.

ძირითადი საშუალებებისა სახეების მიხედვით დადგენილი ცვეთის ნორმა მოცემულია ქვემოთ:

მანქანა-დანადგარები	20-33%
ოფისის აღჭურვილობა	20-33%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20-33%
სატრანსპორტო საშუალებები	20%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10-20%

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.22	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.21	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.20
	შეძენის ღირებულება							
1	მანქანა-დანადგარები	3 668	-	(204)	3 872	-	-	72
2	ოფისის აღჭურვილობა	59 155	7 880	(5 933)	57 208	9 580	(3 602)	51 230
3	ავეჯი და სხვა ინვენტარი	44 448	143	-	44 305	-	-	44 305
4	სატრანსპორტო საშუალებები	40 623	-	-	40 623	-	-	40 623
5	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	117 496	-	-	117 496	-	-	117 496
	ჯამი	265 390	8 023	(6 137)	263 504	9 580	(3 602)	257 526
	დასახელება	ნაშთი 31.12.22	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.21	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.20
	ცვეთა							
1	მანქანა-დანადგარები	(3 091)	(709)	204	(2 586)	(824)	-	(1 762)
2	ოფისის აღჭურვილობა	(38 784)	(10 777)	5 906	(33 913)	(10 121)	3 183	(26 976)
3	ავეჯი და სხვა ინვენტარი	(34 915)	(8 284)	-	(26 631)	(8 780)	-	(17 851)
4	სატრანსპორტო საშუალებები	(17 211)	(4 125)	-	(13 087)	(4 125)	-	(8 962)
5	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	(70 051)	(18 843)	-	(51 208)	(19 050)	-	(32 158)
	ჯამი	(164 052)	(42 737)	6 110	(127 425)	(42 899)	3 183	(87 710)
	საბალანსო ღირებულება	101 337	(34 714)	(27)	136 079	(33 319)	(418)	169 816

5. არამატერიალური აქტივები

(ლარი)								
	დასახელება	ნაშთი 31.12.22	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.21	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.20
	შექმნის ღირებულება							
1	საბუღალტრო პროგრამები	4 266	-	-	4 266	847	-	3 418
2	ვებგვერდი	1 972	-	-	1 972	-	-	1 972
	ჯამი	6 238	-	-	6 238	847	-	5 391
	დასახელება	ნაშთი 31.12.22	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.21	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.20
	ცვეთა							
1	საბუღალტრო პროგრამები	(2 233)	(427)	-	(1 806)	(394)	-	(1 412)
2	ვებგვერდი	(1 922)	(318)	-	(1 604)	(380)	-	(1 224)
	ჯამი	(4 155)	(744)	-	(3 411)	(774)	-	(2 636)
	საბალანსო ღირებულება	2 083	(744)	-	2 828	73	-	2 754

არამატერიალური აქტივების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით 10%-იანი განაკვეთის გათვალისწინებით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2022	ნაშთი 31.12.2021
1	გაყიდვისთვის განკუთვნილ საქონელი	800 582	504 175
2	სამეურნეო მარაგები	85 019	69 251
	ჯამი	885 602	573 426

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა და მის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიღება აღიარებულია შეძენის თვითღირებულებით, გასვლა აღიარებულია საშუალო შეწონილი მეთოდით.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2022	ნაშთი 31.12.2021
1	სავაჭრო მოთხოვნები	166 370	153 304
-	რეზიდენტ იურიდი/ფიზიკურ პირის მიმართ	173 493	160 427
-	არარეზიდენტ იურიდი/ფიზ პირის მიმართ	-	-
	საექვო მოთხოვნების კორექტირება	(7 123)	(7 123)
2	გადახდილი ავანსები	38 448	416 693
-	რეზიდენტ იურიდიულ/ფიზიკურ პირებზე	20 961	12 326
-	არარეზიდენტ იურიდიულ/ფიზიკურ პირებზე	17 487	404 367
	ჯამი	204 817	569 998

8. ფულადი სახსრები და ექვივალენტები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2022	ნაშთი 31.12.2021
1	ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	662	544
2	ნაღდი ფული (უცხოური ვალუტა)	-	-
3	ფული საბანკო ანგარიშზე (ლარი)	199 849	194 238
4	ფული საბანკო ანგარიშზე (უცხოური ვალუტა)	10 540	21 853
	ჯამი	211 051	216 635

9. საწესდებო კაპიტალი

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საზოგადოების საწესდებო კაპიტალი უცვლელია და შეადგენს 5 000 ლარს.

აღნიშნული სიდიდით საზოგადოების საწესდებო კაპიტალი ჩამოყალიბებულია 2014 წლის 1 მარტიდან და შემდგომში მეტად აღარ შეცვლილა.

10. მესაკუთრეებისგან ნასესხები თანხები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2022	ნაშთი 31.12.2021
1	ლაშა ტაბიძე		
	სესხი ეროვნულ ვალუტაში	2 428	101 500
	დარიცხული/გადასახდელი პროცენტი	13 954	759
	ჯამი	16 382	102 259

მესაკუთრეებისგან ნასესხებ თანხებს წარმოადგენს საზოგადოების კაპიტალის 50%-იანი წილის მესაკუთრისაგან (ლაშა ტაბიძე) 2021 წლის 10 დეკემბერს გაფორმებული დაფინანსების ხელშეკრულების საფუძველზე მიღებულ სესხს შემდეგი პირობებით: სესხის მოქმედების ვადა ავტომატური გაგრძელების უფლების ჩათვლით - 10.12.2021-დან 31.12.2023წ.-მდე; წლიური საპროცენტო განაკვეთი: ლარში - 13%, ხოლო უცხოურ ვალუტაში - 6,5%.

11. ბანკებისგან ნასესხები თანხები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2022	ნაშთი 31.12.2021
	ბანკებიდან ნასესხები თანხები (ევროში)	84 930	175 870
1	TBC ბიზნეს სესხები ხელშ. 2705339-10369413	84 930	129 948
3	TBC ბიზნეს სესხები ხელშ. 2705339-11292963	-	45 922
	გადასახდელი პროცენტები (ევროში)	177	318
1	TBC ბიზნეს სესხები ხელშ. 2705339-10369413	177	228
3	TBC ბიზნეს სესხები ხელშ. 2705339-11292963	-	90
	ჯამი	85 107	176 188

საანგარიშო პერიოდში ფიქსირდება სს „თიბისი“ ბანკიდან მიღებული ორი ბიზნეს სესხი შემდეგი ძირითადი პირობებით:

ა) TBC ბიზნეს სესხი ხელშ. 2705339-10369413: პერიოდი - 2019-2026წწ; ვალუტა - ევრო; წლიური საპროცენტო განაკვეთი - 5,50.

ბ) TBC ბიზნეს სესხი ხელშ. 2705339-11292963: ოვერდრაფტი 50 000-ის ოდენობაზე; პერიოდი - 2021-2022წწ.; ვალუტა - ევრო; წლიური საპროცენტო განაკვეთი - 6,00.

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

(ლარი)			
	დასახელება	ნაშთი 31.12.2022	ნაშთი 31.12.2021
1	სავაჭრო ვალდებულებები	1 958	4 179
-	რეზიდენტი იურიდ./ფიზიკური პირები	969	2 367
-	არარეზიდენტი იურიდ./ფიზიკური პირები	988	1 811
2	მყიდველებიდან მიღებული ავანსები	483 379	792 733
-	რეზიდენტი იურიდ./ფიზიკური პირები	452 068	769 261
-	არარეზიდენტი იურიდ./ფიზიკური პირები	31 311	23 472
	ჯამი	485 337	796 912

13. ამონაგები

(ლარი)			
	დასახელება	2022 წელი	2021 წელი
1	საქონლის რეალიზაცია - 18% დღგ-თი დასაბეგრი ბრუნვა	4 528 426	3 181 338
2	დღგ-ს ჩათვლის უფლებით გათავისუფლებული ბრუნვები	306 025	130 747
3	გაყიდული საქონლის უკან დაბრუნება	(9 947)	(36 673)
	ჯამი	4 824 503	3 275 413

14. სხვა შემოსავალი

(ლარი)			
	დასახელება	2022 წელი	2021 წელი
1	დადებითი საკურსო სხვაობები	25 381	35 462
2	სხვა არასაოპერაციო შემოსავლები (საშემოსავლოს შეღავათები და კრედიტნოტები)	30 708	47 194
	ჯამი	56 089	82 656

15. სხვა ხარჯები

		(ლარი)	
	დასახელება	2022 წელი	2021 წელი
1	ტრანსპორტირების ხარჯი (შიდა გადაზიდვა და სხვა)	58 234	48 028
2	სატრანსპორტო ხარჯი (ტექდათვალიერება, საწვავი, ავტოტექმოშახ. და მასალები)	19 886	13 465
3	კონტეინერების დაცლის მომსახურება	4 274	7 341
4	დაზღვევის ხარჯი	9 175	5 701
5	კომუნალური ხარჯები	7 853	6 548
6	სხვა საექსპლუატაციო ხარჯები	22 320	14 518
	ჯამი	121 742	95 601

16. ფინანსური რისკების მართვა

საზოგადოებაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად.

საკრედიტო რისკი. საზოგადოებას აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება საზოგადოების მიერ კონტრაგენტებისათვის საქონლისა და მომსახურების მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

საზოგადოების მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით:

	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	204 817	569 998
სხვა მოკლევადიანი აქტივები	78 940	125 011
ფულადი სახსრები და ექვივალენტები		
ნაშთები საბანკო ანგარიშებზე	210 389	216 092
ნაღდი ფული	662	544
სულ მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი	494 808	911 645

აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგამოქცევითი ზეგავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით, უმნიშვნელოა.

საზოგადოება მის მიერ აღებული საკრედიტო რისკების სტრუქტურირებას ახდენს კონტრაგენტების ან კონტრაგენტების ჯგუფების მიმართ აღებული რისკის მოცულობაზე შეზღუდვების დადგენით. საკრედიტო რისკის შეზღუდვებს რეგულარულად ამტკიცებს ხელმძღვანელობა. ამგვარი რისკების მონიტორინგი განმეორებით ხდება და ექვემდებარება წლიურ ან უფრო მეტი სიხშირით გადასინჯვას.

საკრედიტო რისკის მართვა. საკრედიტო რისკი ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც ვალდებული პირი ვერ ასრულებს ხელშეკრულებით დაკისრებულ მოვალეობას და ეს იწვევს ფინანსურ ზარალს საზოგადოებისათვის. დებიტორები შედგებიან სხვადასხვა მომხმარებლებისგან, უმეტესად რეზიდენტი და არარეზიდენტი იურიდიული პირებისაგან. საკრედიტო შეფასება ხორციელდება დებიტორების ფინანსური მდგომარეობის გადახედვით და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი საექვო ვალების რეზერვის შექმნით.

საბაზრო რისკი. საზოგადოება განიცდის საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) პროცენტთან აქტივებსა და ვალდებულებებში და (გ) ლიკვიდურობის რისკით პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება სისტემატიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საზოგადოებას გააჩნია მიღებული სესხები, რომლებსაც ერიცხება პროცენტები.

	31.12.2022	31.12.2021
სულ საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივები (გაცემული სესხები)	-	-
სულ საპროცენტო გასავლის მქონე ვალდებულებები (მიღებული სესხები)	101 489	278 446
წმინდა საპროცენტო სენსიტიურობის სხვაობა	(101 489)	(278 446)

სავალუტო რისკი. ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში საზოგადოებას გააჩნია რისკი, რომელიც გამოწვეულია საწარმოს ფინანსურ პოზიციისა და ფულადი ნაკადების მოძრაობაზე უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსის ცვლილებით.

რამდენადაც საწარმოს ხარჯების დიდი ნაწილი გაიწევა უცხოურ ვალუტაში (იმპორტით შეძენილი საქონლის თვითღირებულება), ხოლო შემოსავლების ძირითადი ნაწილი მიიღება ლარებში, დამატებით საწარმოს გააჩნია/(გააჩნდა) უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული ვალდებულება - ნასესხები თანხები - ამდენად საწარმოს ხელმძღვანელობა ეწევა სისტემატურ მონიტორინგს უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსის ცვლილებით წარმოშობილ სავალუტო რისკის მისაღები ლიმიტების უზრუნველსაყოფად.

ლიკვიდურობისა და ფულადი ნაკადების რისკები. ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ საწარმომ შესაძლოა განიცადოს სირთულეები სახსრების მოპოვებაში მის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებისას, ასევე, ლიკვიდურობის რისკს ადგილი აქვს, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადებს შორის აღინიშნება რაიმე სხვაობა. საწარმო ინარჩუნებს ლიკვიდურობის მართვას იმის უზრუნველყოფით, რომ ფონდები იქნება ხელმისაწვდომი ყველა პერიოდში, რათა მოხდეს შესაბამისი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ვალდებულების შესრულება ფულადი სახსრების მოძრაობასთან დაკავშირებით, როდესაც დგება გადახდის მომენტი.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადებისა და ლიკვიდური აქტივების სტუქტურის ანალიზი შემდეგია:

	მოთხოვნისთანავე და 6 თვეზე ნაკლები	6-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდ.-ები	485 337	-	-	-	485 337
მიღებული სესხები	16 559	-	84 930	-	101 489
სულ მომავალში გადასახდელები	501 896	-	84 930	-	586 826
ფინანსური აქტივები					
სხვა მოკლევადიანი აქტივები	78 940	-	-	-	78 940
სავაჭრო და საავანსო მოთხოვნები	204 817	-	-	-	204 817
ფული და ექვივალენტები	211 051	-	-	-	211 051
წმინდა პოზიცია	(7 088)	-	(84 930)	-	(92 018)

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადებისა და ლიკვიდური აქტივების სტუქტურის ანალიზი შემდეგია:

	მოთხოვნისთანავე და 6 თვეზე ნაკლები	6-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდ.-ები	796 912	-	-	-	796 912
მიღებული სესხები	46 999	-	231 448	-	278 447
სულ მომავალში გადასახდელები	843 911	-	231 448	-	1 075 359
ფინანსური აქტივები					
სხვა მოკლევადიანი აქტივები	125 011	-	-	-	125 011
სავაჭრო და საავანსო მოთხოვნები	569 998	-	-	-	569 998
ფული და ექვივალენტები	216 635	-	-	-	216 635
წმინდა პოზიცია	67 733	-	(231 448)	-	(163 715)

17. კაპიტალის მართვა

საზოგადოების კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს საზოგადოების ფუნქციონირება, რათა პარტნიორებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, საზოგადოებამ შესაძლოა მოახდინოს გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, გაზარდოს საწესდებო კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

საზოგადოება არ ექვემდებარება გარეშე სუბიექტის მოთხოვნებს კაპიტალზე.

18. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი შეიძლება გაიყვანოს გარიგების მსურველ მხარეებს შორის, გარდა იძულებული გაყიდვისა ან ლიკვიდაციისა და მისი საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიურ ბაზარზე კვოტირებული ფასი.

ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება განისაზღვრა საზოგადოების მიერ, რომელმაც გამოიყენა ბაზარზე არსებული ინფორმაცია, მისი არსებობის შემთხვევაში, და შეფასების შესაბამისი მეთოდოლოგიები. თუმცა, საჭიროა განსჯის გამოყენება იმისათვის, რომ ინტერპრეტირებული იქნეს საბაზრო მონაცემები და განისაზღვროს შეფასებული რეალური ღირებულება. საქართველო კვლავ ამჟღავნებს ჩამოყალიბებადი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნის მახასიათებლებს და ეკონომიკური პირობებით კვლავ იზღუდება ფინანსურ ბაზრებზე აქტივობების მოცულობა. საბაზრო კვოტირებები შესაძლოა მოძველებული იყოს ან ასახავდეს იძულებითი გაყიდვის ოპერაციებს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას. ხელმძღვანელობამ გამოიყენა არსებული ყველა საბაზრო ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

სავაჭრო და სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს, განსხვავებულ შემთხვევებში ხდება მათი დარეზერვება.

ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრები ექვივალენტების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებას.

19. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მხარეები განიხილებიან დაკავშირებული მხარეების სახით, თუ ისინი იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ, ან ერთი მხარე ფლობს მეორე მხარის კონტროლის შესაძლებლობას ან შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო ხასიათის გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

თითოეულ დაკავშირებულ მხარეს შორის ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება გამახვილებულ უნდა იქნას უშუალოდ ამგვარი ურთიერთობის არსზე და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმაზე.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას დაკავშირებულ პირებთან გარიგებები გაფორმებული აქვს ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში და მოიცავს:

- საქონლის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს;
- მომსახურების გაწევის ოპერაციებს;
- მიღებულ სესხებს შესაბამისი საპროცენტო ხარჯებით;
- თანხის გადარიცხვას დივიდენდის სახით;
- წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების შრომის ანაზღაურებას.

დაკავშირებული მხარეები და მათთან განხორციელებული ოპერაციები

(ლარი)

	დასახელება	ოპერაციის სახე	2022 წელი	2021 წელი
1	ვახტანგ ბაკურაძე	დივიდენდის დარიცხვა	-	25 500
2	ლაშა ტაბიძე	დივიდენდის დარიცხვა	-	25 500
3	ლაშა ტაბიძე	სესხი პარტნიორისგან	-	101 500
4	ლაშა ტაბიძე	დარიცხული პროცენტი	13 195	759
5	ვახტანგ ბაკურაძე	გაცემული დივიდენდი	-	25 500
6	ლაშა ტაბიძე	გაცემული დივიდენდი	-	25 500
7	ვახტანგ ბაკურაძე	ხელმძ-ის გასამრჯელო	173 776	138 506
	ჯამი		186 971	342 765

დაკავშირებული მხარეებთან განხორციელებული ოპერაციებიდან წარმოშობილი მოთხოვნა/ვალდებულების ნაშთები 31.12.2022წ. თარიღით დასრულებული წლისათვის

(ლარი)

	დასახელება	ოპერაციის სახე	ნაშთი 31/12/2022	ნაშთი 31/12/2021
1	ვახტანგ ბაკურაძე	მოთხოვნა მიწოდებიდან	-	5 089
2	ლაშა ტაბიძე	სესხი პარტნიორისგან	2 428	101 500
3	ლაშა ტაბიძე	დარიცხული პროცენტი	13 954	759
4	ვახტანგ ბაკურაძე	დარიცხული დივიდენდი	-	-
5	ლაშა ტაბიძე	დარიცხული დივიდენდი	-	-
6	ვახტანგ ბაკურაძე	ხელმძ-ის გასამრჯელო	-	-
	ჯამი		16 382	107 348

20. წინა პერიოდის კორექტირებები

საანგარიშოს წინა პერიოდის (2021 წელი) ფინანსური ანგარიშგების რომელიმე მუხლის დაკორექტირების საჭიროება არ წარმოშობილა.

21. განუსაზღვრელი ვალდებულებები

სასამართლო განხილვები. 2021 18 მაისს შპს „ტესტ ჯორჯია“-ს წარმომადგენელმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა მოპასუხე შპს „დანი ქონსტრაქშენი“-ს მიმართ დავალიანების (20 077,10 ევრო) დაფარვის მიზნით.

აღნიშნული დავა/საქმის წარმოება (#2/11168-21) შეწყდა სასამართლოს 2021 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით, რამდენადაც მხარეთა შორის დამტკიცებული მორიგების

პირობებიდან გამომდინარე შპს „დანი ქონსტრაქშენი“-მ აიღო ვალდებულება, რომ 2021 წლის 15 ოქტომბრამდე ვადაში დაფარავდა როგორც დავალიანების ძირ თანხას (20 077,10 ევრო), ასევე პირგასამტეხლოს (2000,0 ევრო). დადგენილ ვადაში დავალიანების არასრულად დაფარვის შემთხვევაში დამტკიცებული მორიგების აქტი ძალას კარგავდა და დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა 2000 ევროდან იზრდებოდა 5620,8 ევრომდე.

ზემოაღნიშნული პირობებით მოსარჩელემ მასზე დაკისრებული თანხები დაფარა საანგარიშო 2022 წელს.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს კანონმდებლობა საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო სფეროში განიცდიდა ხშირ ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ საზოგადოების გარიგებებსა და საქმიანობასთან მიმართებაში გაკეთებული კანონმდებლობის ინტერპრეტირება შესაძლოა არ შეესაბამებოდეს საგადასახადო სამსახურების ინტერპრეტაციას. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ გამოიჩინონ კანონმდებლობის განსხვავებული ინტერპრეტაცია ადრე მომხდარი გარიგებებისა და საქმიანობის მიმართ. შესაბამისად, შეიძლება წარმოიქმნას დამატებითი გადასახადების, ჯარიმების და საურავების დარიცხვის რისკი.

დაგირავებული და შეზღუდული აქტივები. საანგარიშო პერიოდში საზოგადოების აქტივები არ ყოფილა დაგირავებული ან/და შეზღუდული.

სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება. საზოგადოებას მოზიდულ სახსრებთან დაკავშირებით გააჩნია ვალდებულებები, თუმცა მათი გადახდის რისკები არ ფიქსირდება.

22. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების შესახებ, შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

რაც შეეხება უკრაინის მოვლენებს, საზოგადოების ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ უკრაინაში ომი არამაკორექტირებელი მოვლენაა და ყურადღებით აკვირდება მიმდინარე ეკონომიკურ ვითარებას, რათა, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად დააკორექტიროს საზოგადოების საქმიანობის შედეგები.